

თეატრი სსსრ-ში

სამიწასრო სალიხარ. პურნალი

№ 33 - 1917

ფასი
25 კ.

წალიწალი მისთვის
გაორცემისა



ანასტასია მანაბლისა

ანასტასია მანაბლის ხსოვნას

არ მომკვდარა, სძინავს ტკბილად
ზრომისაგან დაღალულსა,
მოსვენება ენატრება
დასუსტებულ იმის გულსა.

ვთუ იმის, ვინც სამშობლოს
მოშორდება საუკუნოდ,
მის არსებას არვინა სცნობს,
აქვე მკვდარსა უსახელოდ.

შენ კი ტურფავ სახიო, საქმით
სულით, გულით მშვენეირსა,
სამშობლო არ დაგივიწყებს,
ეწამები ჩვენსა ერსა!

ნინო ორბელიანი.



რედაქციისგან მკითხველთა მიმართ

მწრომელთა ხელფასის აწევამა და სხვა მასალის გაძვირებამ უზომო ხარჯები მოგვთხოვა, ხელის მომწერთ კი ჩვენ ფასს ვერ მოგუმატებთ. ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ ფონდის გასაძლიერებლად საჭიროა ნივთიერი დახმარება. ხელი მოგვიპართეთ, ვისაც ამ ჟურნალის არსებობა საჭიროად მიგანაიათ. ყოველგვარი შემოწირულობა დიდის მაღლობით მიიღება რედაქციაში (ბაზრის ქ. № 20); აღუქსანდრეს ბაღის პირდაპირ, მეწიგნების რიგზე, ფოსტით **Ред. „Театри да Цховреба“.**

მარიამობისთვის 13

დემოკრატია და კულტურა

საქალაქო არჩევნებზე დემოკრატიაში გაიმარჯვა. ჩვენს დედა ქალაქს თბილისს ძლიერს დავევა

ტრონეთ, — დემოკრატის გამარჯვება ხოსამართლიანობის გამარჯვებას ნიშნავს და თუმცა სამართლიანობა გამარჯვებს — გამარჯვებს ქართველი ხალხიც.

ვინ იყო დღემდე ქალაქის ვითომ და მზრუნველი?

ბიუროკრატია და პლუტოკრატია, ანუ მთავრობის მოხელეობა და მდიდართ რწმუნებულნი

დღეს?

დღეს ქალაქის ხმოსანთა დიდი უმეტესობა არა თუ დემოკრატები — სოციალისტები არიან.

ესე იგი ისინი, რომელთაც მიზნად ღარიბ-ღატაკ ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა დაუსახაველ.

დღე, ბურთი და მოედანი მათია.

მართალია, ძლიერ მძიმე პირობებში უხდებათ მათ მუშაობა, მაგრამ თვისი პროგრამის ნათელი მინც რომ აღასრულონ, ე. ი. ხალხს იმის მეთაფი მინც რომ აღუსრულონ, რაც შეიძირდენ, — ესეც დიდი ბედნიერება იქნება.

რა აკლია ქალაქის ღარიბ-ღატაკ ხალხს, განსაკუთრებით განაპირა უბნებში მცხოვრებთ?

ძლიერ ბევრი რამ: წყალი, პური, გზები, სინათლე, ექიმი, აბანო და, ვინ მოსთვლის?

აღბად ყველა ეს ვათვალისწინებელი ექნება თითოეულ პარტიის წარმომადგენელსა და ყოველის ღონისძიებით ეცდება ამ ნაკლის თავიდან ასაცილებლად.

ჩვენი მიზანია ქალაქის ახალ მამათა ყურადღება მივაქციოთ განაპირა უბნელების კულტურულ მოთხოვნილებას.

იქნება არც ერთ ქალაქში არ შეგვხვდეთ იმდენი ცხოვრების გერი, იმდენი ღვთის ანაბრობაზე მიგდებული (სწავლა-განათლებისა და განვითარების მხრივ), რამდენიც ჩვენს დედა ქალაქში.

მერე ვინ არიან ესენი?

უმთავრესად ქართველი ხალხი, ანუ გაქართველები სომხობა, ებრაელობა თათრობა და საზოგადოდ სხვა და სხვა მილეტის მდაბიო წოდება.

რევოლიუციამ ყველანი გაგვათანაბრა უფლებრივად, მაგრამ თუ ამ უფლების ძალა არ გვეცოდინება — როგორ მოვიხმართ?

ასეთი განაპირა უბნები ისეთ სინელებსა და სინიბურეში არიან ჩაფლულნი, რომ რა უფლებაც უნდა მიანიჭო, თუ ცოდნაც არ ახლავს, ვერაფერი მოქალაქენი იქნებიან...

ქალაქის მამათა მხრით სწორედ ამ უბნებს ეპირება ფხიზელი ყურადღება.

ამ უბნებს ჩვეულებრივ პირველ მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელ საგანთა გარდა, დღემდე არ მოუპოვებთ რიგიანი სკოლები, წიგნთსაცავ-საკითხველოები, სახალხო კითხვათა აკადემიკრიები, თეატრები და სხ.

ქალაქის საშუალო კულტურა (მაღალს ვიდა ჩივის) და განაპირა უბნები ერთმანეთს ისე დაშორებიან, როგორც ცა დედამიწას.

განაპირა უბნების ასეთმა ჩამორჩენილობამ განსაკუთრებული გადაშვარებელი და გადაგვარებული ტიპიც-კი შექმნა, რომელიც თვისის მხრით მეტად ცუდს გავლენას სტოვებს ქალაქის ახლო-მასლო სოფელთა კულტურულ ზრდაზედ...



აი, სწორედ ამ უბნებს უნდა მიექცეს დიდი ყურადღება.

არა ერთხელ უთქვამთ მდაბიო ხალხზე: არა შეჯღა მწყერი ხესა—არა იყო გვარი მისიო!

დღეს ამ ხალხის რჩეული შვილები—დემოკრატია შეჯდა ხეს და მაშ მანვე უნდა დავგი მტკიცოს, რომ ღირსეული რჩეულია თავისი ამომრჩევლისა და კულტურულად აღამალლოს ქალაქის განაბირა უბნები. ამას კი მათი ნივთიერი ამაღლება მოჰყვება.



„აქეთ-იქით გამარჯობა“

(გაგრძელება. იხ. № 82)

ვ

ლაზარეს ფიქრადაც არ მოსვლია, რომ სასოფლოზედ ილაპარაკებდნენ მის ან მიხაკას შესახებ და არც რაიმე ყურადღებას მიაქცევდნა ნალაპარაკეც, თუნდაც რომ გავგონა. მის დასახული ჰქონდა სულ სხვა მიზანი, რომლის კვლაც მედგრად შეუდგა და მიაღწია კიდევ.

გაუარა ლაზარემ წინ მიხაკას ეზოს ერთხელ, არავინ ჩანდა ეზოში; გამოუარა მეორედ, კიდევ ვერავინ დაინახა. მესამედ რომ გაუარა—აი გამოჰყო ამ დროს შინიდან თავი მიხაკამ და ლაზარემაც მიიძახა: „გამარჯობა შენი მიხაკ!“

— აი, გაგიმარჯოს ჩემო ლაზარე!.. ცოტა ხანს შედექ, ლაზარე, სათქმელი რამე მაქვს შენთან!..

— მიბძანე შენი კირიმი!..

— რა კიი კაცი ხარ ლაზარე!.. განა შენზედ კეთილი კაცი მოიპოვება-ლა სადმე ქვეყნიერობაზედ? შენ კაცი კი არა, ანგელოზი ხარ! არა უფრო მტკიც.— შენ ღვთის ნათლული ხარ!.. მე ასე მეგონა ჩასაქვავებლად არ დამინდობდი, არამც თუ „გამარჯობა“ გამეგონა შენგან. ეს ფიქრი კი ძრიელ მიჩაგრავედა გულს. მეტად დაჩაგრულადა ვგრძნობდი თავს იმ წუთამდე; სწამ შენ „გამარჯობას“ დამიძახებდა. და სიმართლეს გეტუბნები, ჩემო თვალის ჩინო, დიდად დაჩა-

გრული ვიქნებოდი შენგნით, და სამართლიანობაცა და ცოდო მადლიანობაც გათელილი და შელახული იქნებოდა მაშინ სამუდამოდ, თუ შენ ჩემთვის „გამარჯობა“ აღარ გეთქვა. ოჰ, რა დაჩაგრული ვიქნებოდი მაშინ ლაზარე ჩემო!

— აბა, რასა ბძანებ მიხაკ? აი, ღმერთმა კი დაჩაგროს შენი დამჩაგრელი! განა რა დაგიშავებია ჩემთვის, რო გამარჯობა არ მეთქვა შენთვის? აი მამული რო ჩამამართვი? შე კიი აღამიანო, განა ერთი და ორი თავი გამოუხრაგე მამულს? მამულის გულისათვის კაცმა კაცი უნდა მიიმდუროს და ისიც მეზობელი!

— ქეშპირიტებს ამომ ჩემო ლაზარე! განა თუ დიდ რამედ მიღირს შენეული ვენახი—სულ შეიღირვა თუშნის საქმეა, მაგრამ საქმე მაგაში ხომ არ არის. შენ, როგორც ჰკვიანსა და „მართებულა“ კაცს, გეტუბნები, თორემ სხვას არ ვეტყვი, რადგანაც მარტო შენ გაიგებ ჩემ ნათქვამს. წარმოიდგინე, ჩემო კარგო ლაზარე და ძვირფასო ნათლიამ, რომ შენ, მაგ საწყალ კაცს საკუთარი ვენახი გქონდა. მე კი დღეს კაცად ვითქმი, ოჯახი, ღვთის, ყოველი ფრთა სავსე მაქვს და ღღემლის მე, ამ ქონების პატრონს, საკუთარა ვენახი არა მქონდა! განა ცოდო არ ვიყავი? აბა, სადაური სამართალი და ცოდო-მადლიანობა იყო ეს? აი ესა მწყინდა და მიჯავრებდა, თორემ განა ბევრ რასმე წარმოადგენს ჩემთვის შენეული ვენახი.

— ვაი შენ ჩემო თავო, განა ემაგრე იყო საქმე? რატო აქამდის არ გამაგებინე, შე დლოცვილის შვილო, თუ აგრე გულ ნაკულულად იყავი? მაშ ლაზარე მოკდეს და ფეხს ნულა დაადგამს მიწაზედ, თუ ყველას თავი არ შესწიროს და მტლედ არ დაედოს, და შენი გულისათვის ხომ სულსაც არ დავხოვავ.

— დარწმუნებულ ვარ, ჩემო ლაზარე, რომ ყველაფერს ჩაიდენ ჩემი გულისთვის. ხუმრობა ხომ არ არის—ერთი ურემი მირონი შემომიბტანია მე შენს ოჯახში! განა მირენის მადლი ტყუილ-უბრალოდ ჩაივიღდა ისე, რომ ჩემ ერთგულ მოკეთედ არ გადაექციე?

— რა საჭიროა კვენა ნათლია ჩემო!



ისეთი სულელი და თავზედ ხელ აღებული კაცი ხომ ამა სად მოიპოვება ქვეყანაზედ, რომ თვითონ შიმშილით გული მისდიოდეს, წინ ჯამით კერძი ეღვას და მშვიდრივ საყვარელი ცოლშვილიც გარშემო ესხდეს, ამოიღოს ჯამიდან პირველი ლუკმა და თვითონ კი არ შეტკბამოს—ცოლს ან შვილს ჩაუღდოს პირში. ხომ არსად მოიპოვება ასეთი კაცი, განა? მაგრამ მენდღ, ნათლიაჩემო, დანდე ღმერთსაცა და ნათელიმოირობასაც, რომ მე ამას წრფელის გულით ვაობ: მე რომ ვიყო იმ მშვიდი კაცის ალაგას და შემეგვსწრო იმ დროს შენ, თუნდაც სრულიად მძღარი, არამც თუ პირველ ლუკმას,—მთელ კერძს შენ გაღმობდიგაღდი. შენთვის პირში ლუკმას გავიტრობი!

—მაშ რა მიყვარხარ ნათლიამ ამ რათ გარჩევ ყველა ჩემ მეზობლებში და ვაფასებ ასე ძვირად შენს მეზობლობას, თუ არ ვიყო დარწმუნებული შენს კეთილკაცობაში? ახ, რატომ დანარჩენი ჩემი მეზობლებიც არა გგვანან შენ!

—რა ვიცი, ზოგი ერთი კაცი რა ეშმაკის ცხენზედ შეჯდება ხოლმე!

—ოჰ, აი ეგ ნამდვილი სიტყვა იყო! სწორედ და ეშმაკის ცხენებზედ ხხედან ყველანი შენს გარდა. თორემ ასე რომ არ იყოს, როგორი კეთილმეზობლური განწყობილება იქნებოდა მაშინ მთელ სოფელში? ღვთის მოსაწონი ცხოვრება იქნებოდა!

—ჰო, და ამა რათ შეგებარა ეჭვი, რომ მე გამარჯობას აღარ გეტყუდი? თქვა ესა ლაზარემ და ყელი მოიღერა.—ჩემ ძმას რომ არ ვეუბნევი გამარჯობას, მე ამის საბუთიც მაქვს, შენ კი ამა რა დავიშვებია ჩემთვის!

—რას ამბობ ლაზარე, განა მე არ ვიცი, როგორც არი საქმე-რა? სად ძმა და სად კეთილი მეზობელი! რაც შენმა ძმამ საქმე დაგმართა და იმდენა ზარალი მოგაყენა: უსამართლოდ შენი საკუთარი ვიბერთელა მამული მიითისვა—რომელი მეზობელი გიხვავდა ამის? არა, ძმა რო კარგი იყოს, ღმერთს არ ეტყულებოდა? აბა, რა შედარებაა ძმასა და მეზობელ შორის?

—ოჰ, ეგ რა კარგი მისწავლე ნათლია ემო! ის ძუძუძელი დედაკაცი რა გაღა-

ფარულა ემ პირზედ ძმასზედ, ერთი, ჩავადგინოა მუცელში! ის რძეძალი ისა, იმას ჩამჩინებს და გაიძახის, რა ძმა უნდა გერჩინოს მეზობელსო. უნდა უთუოდ შერიგდეთო. კლდეზედ გადასაჩეხი და ჩაოსხარჩობა არ უნდა გავხედ, რომ ჩემ ძმას «გამარჯობა» ვუთხრა!

—აი ყოჩად და ბაშხადოლემ ლაზარე-ჯან! კაცი კაცური უნდა იყოს—მაშ! აი ეგ მიყვარს შენი!

—აი ექამდის მოგყევარ სისხლზედ იმ ძუძუ ძალდ დედაკაცს!

—შენც რას აჰყოლიხარ და ყურს უგდებ შენ დედაკაცს! დედაკაცს რომ ჰქვა ქონდეს, გძელი თმა აღარ ექნებოდა. შენ გული დიშმუდღე. მაშ მე მიხაკა აღარ ვიქნები, თუ როგორც შენა ხარ კეთილი, ისე მეც კეთილი მეზობლობა არ გაგიწივო.

VI.

თუ ლაზარე აჰყვებოდა თავის გულს და იხტუნებდა და იჯამებდა ისევე, როგორც გული უხტოდა და უთამებდა სიამოვნებით, მაშ-ნ იგი ყველას გიჟ ეგონებოდა. მაგრამ ლაზარე გიჟ არ იყო. თავისი კი კაცობითა და ზნითეულობითა მოიხიყო ის კეთილი ნაყოფი, რისთვისაც იგი იღვწოდა და კიდევ სტკებოდა ახლა ამ კეთილი ნაყოფით «რა კია ხარ ლაზარე», ღვთის ნათელული ხარ—ეს სიტყვები მიხაკას ყურებში უფუფუნებდნენ და უშენაესს ნეტარებასა გვრიდნენ: მის და იმოდენად ძლიერი და უზომო იყო ეს ნეტარება ლაზარესთვის, რომ მისი გული ველარ იტევდა მთლიანად ისე, რომ გარდაც კარ გააოქვენა და არ ვაეცისკროვნებინა მისი ირის სახეც.

ლაზარეს ეს გაბრწყინვალეულმა სხაემ იმედის სხივებით ჩაანათა და ააძგერა გული მისი ცოლისაც, რომელიც აკანკალებულის ხმით შეეკითხა:

- ნახე ის წანწალ-ამოწყვეტილი?
- ენახე, მარა! მაშ უნახავს გაუშველი?
- რა გითხრა? იმედი არი რიამე?... მოღობობია გული, იმ ჩემი ცოდვითა და ჩემი შვილების ცოდვით საესეს, თუ არა?

—რას ამბობ, დედაკაცი, რამ გგაგვიფარის იმედი ან რის გულის მოღობობა? მე კაცს გამარჯობა ვუთხარი და წამოვედი!



— კაცო და მართა „გამარჯობისათვის“ გაიქციე?

— მართა, „გამარჯობისათვის“. რათა! მითხრა: „რა კაი კაცი ხარ ლაზარე“ ო, „ღვთის ნათლული ხარ“ ო, და ეს რად მიღირს მე!

— ელილიზინა გოგო-ბიჭებს შეგინოსავ თავით ფეხამდე, რაკი შენთვის „ღვთის ნათს ლული“ დაურქმევია.

— რატომაც არ შემიმოსავს! ამაშ მე მიხეცა ღღარ ვიქნები, თუ როგორც შენა ხარ კეთილი, მეც ისე კეთილი მეზობლობა არ გაი გიწივოო... აი რა, მითხრა კაცმა! და შენ კნ დამდ გომიხარ ასეო!

— ყურში უწერჩულე, დიხს რაც შენ იმისი კეთილი მეზობლობიდან მიიღო, მე წილს ნულა დამიდებ.

— დედაკაცო, შე რძე-ძალლო, შენა გგონია, მე შენ სიტყვას დავიჯერებ და იმი-სას კი არა! შენ ე ხმა ჩაიწყვიტე, თორემ იქნება კარგებიც ავაყვანინო!

მელანია

(გაგრძელება თქვამს)

დროშის ქვეშ

ი ს ისე ნაზად ირხეოდა ჰაერში ვით ცე-
ლქ ნია ვით შეთრთოლებული ტბის ზედა-პირი,
მას ისეთი მომჯადოებელი ფერი ჰქონდა, ვით.
ჩამავალ მზის სხივით წითლად შეფერილ
დრუბლის ნაფლეთს.

და მათე ისეთი გრძნობის წარმტაცი სი-
ტყვები იყო ამოქარგული, ვით უმანკო ფი-
ციტ ჩურჩული ახალგაზრდა ასულისა.

ამაყად და მედიდურდ ირხეოდა და ცა-
ხკახებდა ჰაერში ისე, ვით გაშლილი არწი-
ვის ფრთები.

ვიტქ და უცქეროდი, ოცნების ბურუ-
სში ვიყავ გახვეული.

რამოდენი ხანია ველოდი მის ხილვას...
რამოდენი სულის მქენჯნავი ფიქრები ამოკუ-
რებულა გულის სიღრმიდან პისმოლოდინში.
და ასე უეტკრად მოულოდნელად.

რამოდენი ტანჯვა-წვალება გამივლია მის
ძიებამში და ნუ თუ ეს წმიდათა წმიდა ჰქანა-
ობს ეხლა ჰაერის სივრცეში ვით ილქანი?

და სად ვარ მე ეხლა მითხარით: სიზმა-
რია ყოველივე ეს, თუ ტკბილი ზღაპარია?

მითხარით მართლა ამოვიციტებ მე მათე ამო-
ქარგული სიტყვები „მიწა და თავისუფლება“,
რომელსაც ამოდენ ხანს საიდუმლო მწუხრის
ლოცვაში თუ წარმოსთქვამდენ ჩემი ზაგენი.

ჰალე მეგობრებო! სადა ვარა ჩვენ ეხლა,
სადაც უცნო შორეულ მხარეში თუ ჩვენს
მრავალ ტანჯულ საქართველოში? . . .

და აი მოხველი შენ და წყნარად ჩამუ-
რჩულე:

— გახსოვს?

— რა?

— ისე თინან ვნებით ვერავის მივაპყრობ
თვალს, როგორც შენ ჩემო სიცოცხლო? ეხ-
ლა კი სდგებარ აქ და შესტკეირხარ დროშის
ასე, ვით მოგვი წმიდა საკურთხეველს.

— დიხს ხედავ რა თვალწარმტაცი და
შომიხივლეოდა.

როგორც მოსიყვარულე დედა მიიყვანს
ხატის წინ თვის პირშობს და ეტყვის: „ემთხ-
ვიე შევილო“. იმ რიგადვე მოკრძალებით მიუ-
ახლოვდით ჩვენ მას და შენი უმანკო ტუჩები
მოკრძალებით ეამბორა წმიდა დროშის ტარს
და მთროლვარე ხნით წარმოსთქვი ფიცი:

— ჩემს სიყმაწვილეს, ჩემს ქალწულებას
მსხვერპლად ვწირავ შენს წმიდა საკურთხე-
ველს.

და აღსრულდა..

დამერწმუნე! ამის შემდეგ ისე თინან
და უმანკო ვნებით ვერავის მივაპყრობ თვა-
ლებს, როგორც შენ ჩემო სიცოცხლე.

მის. ხომალტისთვის

ვედრება

როს გაიგონო მგოსნის სიკვდილი,
მოკვდა, განშორდა, საწუთრო მხარეს,
გთხოვ შემისრულო მკორე წადილი,
გულ-ხელ დაკრფილს, საფლავს მდებარეს:
მონახე ჩემი უმწეო ბინა,
აჰქვიტინე მთროლოვარე ჩანგი,
და სიმფონიად გულს დამაფრქვიე
უკანასკნელად ციურა ჰანგი.

ძვილი ვერ იგრძნობს, მაგრამ ტანჯულ სულს
მფარველ ნუგეშად მოევილინება
და ეულს ზეცის წიაღზე ობლათ
მზის ახლო მშვიდათ მიეძინება..

დარია ახვლედიანიძე.

მომღერალი სამეფო.

ზღაპარი.

ქვეყნის მაშენებელ გულ-მოდებულ ლა-
ევარდ ცის ქვეშ იყო სამეფო: პატარა, კო-
ხტა, ედემის შესადარი.

საზღაპრო ტუბო მზანებისამებრ იყო ის
გაშენებული ორ დიდ ზღვას შუა: თვალთ
წარმტვა აქტილი-ატიხილი მთებით, ზურმუ-
ხტის ფერ შემოსილი ტუციებით, ვარდ-ყვავი-
ლებით მოქარგულ ველ-მინდვრებით და სა-
ოცნებოდ მოჩუხუხე-მორაჯრკე წყარო-ნაკა-
დულებით. დღე და ღამ მზე, მთვარე, ვარ-
სკვლავთ სხივებით იყო ის გაშუქებული, ვით
ღვთაება, და იყო მშვენიერი დაუსრულებელი
მშვენიებით.

სამეფოს იაღონები გამუდმებით დამღე-
როდნენ თავს ბაღა-ბაღნარებში და როგო-
რც მიჯნურნი თვინათ სატრფოს, დაუცხრო-
მელის ენით უგალობდნენ მკვიდრი სამეფოს
ქებათა-ქებას.

მისი მშვენიერებით ნიავიც-კი ჰხარობდა,
ლაღობდა, სისინებდა. ხის ფოთლებიც-კი
მღეროდნენ, მშრილებდნენ, ცახცახებდნენ,
საიდუნლოებრივ გამოთქმულ სიხარულს სამე-
ფოსადმი ნიავთან ერთად ისიც მთელ არე-
მარეს ამცნობდნენ.

საზღაპრო იყო სამეფო.

ზღაპრულ სამეფოში რა არ ჰხარობდა?
ხანდახან ღამობით მის მშვენიერებით მეტის-
ცქირით ვარსკვლავები, მოხიბლულნი, თი-
თქო მთვარალი ძირის სცვივოდნენ. ველ-მინ-
დვრებში, ყვავილებში, ნამთ კრემლებში იხ-
რჩებოდნენ.

მომღერალ სამეფოში ვერიც მხიარული იყო.
ერს უყვარდა სამშობლო. იცავდა. სხვათა
სამშობლოზე თვალი არ რჩებოდა. არ არ-
თმევდა სხვას სამშობლოს. არც თავისას უთ-
მობდა სხვას.

დიდ-ხანს იყო სამეფო დასკული თავის ერი-
საგან. თითქმის უხსოვარ დროიდან. მაგრამ
ერთხელ მომღერალ სამეფოს ბედი სხეფერ
დაბრუნდა.

აი, როგორ მოხდა ეს.

ჩდილო სახმწიფოში კერპი იყო გამეფებული:
მრისხანე, კაცთ შეუბრალებელი, რომელსაც

თავის სისასტიკით მთელი მსოფლიო
ნებული ჰყავდა, მისი არსებობისთვის საჭირო
იყო მონათა მსხვერპლები. ყოველ ცისმარე
დღე ათასობით იწირებოდა ხალხი. კერპის
სიარულზე დედა-მამის ზანზარი გაჰქონდა. მის
ფეხის ნატერფალს სისხლის ღვართაჟი ვარ-
დებოდა. მისი სასახლე ადამიანთა ხრო ძელსე-
ბით იყო ანაშენი, ხოლო კარ-ფანჯრები სის-
ხლში ნაწილდ დროშებით გაჩირადნებული.
მის ბაღებში აუზებიდან ადამიანთა ცხელი
სისხლის შადრვენებში ასხამდნენ. მთელი
ჩრდილო სისხლის მორავში ტოვებდნენ.

ამ კერპს ჰყავდა ერთი ძლიერი ორთა-
ვიანი არწივი, რომელიც ფრენის დროს თვის
უზარ-მავარის ფრთებით მთელ ცის სივრცეს
არბევდა და არეკოლ შუაღრუბლებით ქვე-
ყნებს უკუნი ღამით ჰშურავდა.

ამ კერპზე ორთავიანი არწივი ბოლოს
მომღერალ სამეფოში გადამოადრინა. არწივის
ფრთების ბეგრამ ჩრდილოეთიდან შავ ღრუ-
ბლებში შემორეკვა და მთელი სამეფო დააბნე-
ლა.

ღაბნელდა მზე, მთვარე, ვარსკვლავები.
გაჰქრა ნათელი. სულთა-მზუთავი სინელი
გამეფდა სიცივე. ყინვა. მწვენი წალკოტში
ვარ-ყვავილები დათრთვილა წყარო-ნაკადუ-
ლები გაყინა ხის ფოთლები გაიკრიკენ. სადაღაც
ნიავი ორმოში ჩაწვა, ბულბულები მიიმალნენ.
ქვეყანა კვდარს დაემგზავსა შესწყდა სიკოცხლე
ყოველი მოძრაობა, სინელიესა და სიცივის
უჩვევი ხალხი ატირდა, დაიწყა ძახილი: სი-
ნათლე, სითბო, სიმართლეო, მაგრამ მათი
ვის ესმოდა? მათი მოთქმა-გოდება ცის ყრუ
სივრცეში იკარგებოდა.

აგრე მკარძელდა დიდ-ხანს. საუკუნეზე
მეტი ითმინა შეუჩვეველმა ხალხმა სხვათა
მონობაში. და სულ ბოლოს მოულოდნელათ
რალაც განგებით მონობასაც ბოლო მოეღო.

ერთ სანატრელ დღეს წყვილით მოკულ
ცის ტატნობზე ელვის ცეცხლის რკალმა გა-
იარა ცეცხლს მოჰყვა ჰეჰა-ჰუხილი. ცის
მიდამო ცეცხლით ნაქვე იარებით აჭრელდა
გახშირდა ელევა-ჰეჰა, ჰუხილი. ხილული გა-
მოცანას დაემგვება, ამავე დროს ამოვარდა
საშინელი ქარი, შეუერთდა ცის ჯოჯოხეთ-

თურ საზარელ ხმას და აღოსნური სისწრაფით მოჰყვა შვიი ღრუბლების გვეს ცახედ. წა-ქინებულ ცა-ქვეყნის ბძოლაში ეღვის უზა-რმაზარი ნაბერწყალი მოსწყდა. ანთებული შურდულივით გადაეშვა ჩრდილოეთით, და-ეცა კერპის სასახლეს, დაქცია კერპის საბ-რძანებელი, დაამო ტახტი და ყოველივე მტერად აქცია.

ტახტიდან ჩამოვარდნილი უძლველი კერპი თავის არწივით ცოცხალ-მკვდარი დამეხნენ ძირს და სამუდამოდ დამარცხდნენ.

რა დაიგო ხალხმა ეს ამბავი, გახარებული აიყარა ხელ-ფეხზედ ბორკილ-ხუნდები და დამარცხებული ბოროტების კერპის დამიწსა-მარებელად გამოილაშქრა.

დღ ხანს გაგრძელდა ცა-ქვეყნის ბრძო-ლა ბოროტი კერპისადმი. ბოლოს, რა-კი კე-რპის არსებობა და ძალ-მომრეობა მოისპო-ქარი, ქვეა ქუხილი შესწყდა. ხალხი დაცხრა ცამ პირი გადაწმინდა და ჩვეულებრივ ნისლ არეკლ ცის ტანობზე ნათელმა მზემ კვლავ შემოსიკნეს ქვეყანას, განათლდა, გათბა, გა-მოცოცხლდა ქვეყანა ცაში მერცხალმა გა-იფრთხილა, გაზაფხულდა დაიქიქიკა. შე-იქნა ბუნების მეჯლისი, ხალხთა ზეიმი, საე-რო მზიარულება.

ამ საერთო ქვეყნის გამობრუნებაში, მო-მღერალ სამეფოს ცის თეთრთა სამფლებლოში გამოჩნდა აროდეს თვალთნახული უმშვენიერესი ტახტი. ტახტი ოცნების, ხელთ-უთქმელი მზე მთვარე-ვარსკვლავით სხივთ შენათხზი, მტ-რედის ფერ ღრუბლების კაპარით. თეთრ ქუ-ლა ღრუბლებისვე ანაქერ მარმარილოს საფეხურებით და დამევა მწვანე წალკოტში ვინმე გმირი ქალის სახით. ის იყო ბუმბერაზ ტანის, ხოლო ფერმიხდილი, სასომღვეულ შეხედულობის, წიგნზევით შიშველი იყო ის გულ-მკერდი დახოკილ-დაცაწრული ჰქონდა გოლიათის მზარ-ბექს, ჯეიანცივთ მოღე-რილ ყელს უფარავდა ისრებივით დაშლილი გრძელი თმა; ხელბეგაშლილი, შექირებული ვედა ის ოცნების კვარცხლბეკზე და მღუ-ლარე ცრემლთა ფრქვევით შეჭყურებდა გა-რეშეშო გამარჯვებულ ერს, ხალხიც მას უც-ქერდა, განცვიფრებული. იყო დუმილი. როგორც მოჩვენება, არც ხალხი ამბობდა

რასმე, კარგ ხანს უტკიერეს ერთმანეთს ხალ-ხმა და მოჩვენებამ. ბოლოს ხმა თვით მოჩვენ-ებამ დაიმაღლა და მოუწოდა განცვიფრებულ ერს:

ხალხნო, სთქვა მან, — რად მიტკიერით გა-ნცვიფრებულნი? ვერ მიცანივთ ვინა ვარ? ვე-ლარც თქვენ გიცანივთ მე. არც თქვენა ხართ — ის, რაც იყავით ას ჩავდემტი წლის წინად. ყველაფრით გამოცვლილი ხართ: ენით, ზნით, ჩვეულებით. არა მარტო მე, თქვენ ერთმანე-თსაც ვერარ ჰტნობთ, მაგრამ მაინც ბედნიე-რი ვარ თქვენის ნახვით, ისმინეთ ჩემი: მე ვარ საქართველო, დღემდის ტყვე, მონა. მხო-ლოდ დღეიდან ტყვეობიდან გაოსული. შე-ხედეთ ჩვენს დასახლიანებულ გულ-მკერდს. დაიარებულ სახეს, გათეთრებულ თმას. რა მომცა ტყვეობამ, მონა-მორჩ ლეზამ? უფლე-ბა, ნაშუი, საკუთარი თვით მართველობა აპ-ხადეს, მიწასთან გამასწორეს, მაგრამ მალეო-ბა ღმეროს, სული მაინც შექრჩა და თქვენ ჩვეულებრივ ჩემს წილში გხედავ. თლარ არ-ის ორთავიანი აწწივი, აღარ არის უძლველი კერპი. დამარცხდა მტარვლი, ცამ შუბლი გაიხსნა, ნისლი გაღაყარა. შეჭმედეთ ახალ მხეს! გაზაფხულდა. დღეს მზე ყველგან ერონარად ანათებს, მაგრამ განსვადღეთ, მე ჯერ მთლად თავისუფალი არა ვარ.

ეხლა შინაური მტრები მყვანან. თქვენც ბეგრნი ხართ ჩემი მტერნი. გოხოვთ, შეერ-თლით! ჩაჰკიდეთ ხელი ერთმანეთს და მიხსე-ნით მე. მოდით ახლო ჩემთან, ამომიდექით მხარებში. მშობლიური აღერსით დამაივთ ტკივილები და ტანჯულ მშობელს ამით შე-მიშვრეთ თვალზე მონაწიერი ცრემლები.

სთქვა ცრემლთა ფრქვევით. რა გაათა-ვა, მრავალწამებულ შუბლზედ ზეციდან გვი-რგვინი დაადგა. ცის ფერადი ღრუბლები სამ-ოთხის ფრად გარშემო შეოქეპარვა. ცისა-რტყელას შვიდი ფერი ხვეულ კანებელ შემოვლას ოცნებს ტახტს, ხოლო საფეხუ-რებს ტახტისას ცის კმარადან მოხსნილი ფი-ანდაზი დაიფინა. გაბრწყინდა სასწაული კვა-რცხლბეკზე მდგომარე სიბოლო საქართვე-ლოსი და გაღვღარაგა შექნარდა მის გარშემო წალკოტი.

ხალხმა ცრემლთა მოჩვენება, მამაპაურის

განმოცემით მოიგონა თავის წარსული. შეიყვარა ის, გაიხარა, საღ იყო—საღ არა, აღტაცებული შეგროვდა ტანტის წინ. ვინც მისწრა ეამბორა მოწიწებით სიძობლოს. ვინც ვერ მიაღწია ხალხის სიმრავლის გამო, შორიდან სცა თავყანი და აღუტკვა ერთგულდება. ხვებშია სიხარულით მიეღღისა, მზიარულება გემართეს მის აღდგენაზე.

მოსმა ყოველ მხრიდან სიმღერა. დაჰკრეს ნაღარას. აკენცეს ზურნა, დაფდაფი ჩაშოჰკრეს ჩანგს, ჩანგურს, ქამანჩას, გაისმა აღდგენილ სამეფოში ეროვნული სიმღერა მამაპაპური, წარსულ დროთა მომგონებელი მსოფლიო ზეიმზე მზემ უფრო გააშუქა გათბა ბუნება. კვლავ გაიფურჩქნა ტყე, მიწლორაველი. ვარდ-ყვავილებით ისე ისევ შეიშო გარემო, კვლავ ახმაურდა, არაკრავდ. წყარო ნაკადულები. აზრიალდა, აღივლიდა შუბლგახსნილი ტყე, მთები. ნიავმა გაისისინა. ისტინდნენ ბულბულები. ქვეყნის დღესასწაული ერთ დამატკობელ ჰარმონიად წარმოედინდა და გაისმა ყოველ კუთხიდან დაუსრულებელი, საამო ხმა, მომღერალ სამეფოში.

გვგანი ფურცტვანიძე

ქართველი ქალი

ანხატასია მანაბლისა

ქალი, მზე ამომბრწყინდა,
შენ მოუძლოდი წინაო!

ვინც დაუავიწყარ ივანე მანაბლის მეუღლეს ანხატასიას, უფრო მკაფიოდ—ტასოს, იცნობდა, ან ერთხელ მაინც უნახავს რაიმე საზოგადო საქმეში, ზემოთე მოყვანილი სიტყვებიც მოაგონდება.

ქართლის ცნობილი ოჯახის ბაგრატიონ-დავითაშვილის ასული და არა ნაკლებ ცნობილი ოჯახის—მანაბლიანთ რძალი, ძლიერ აღრე ჩაება საზოგადოებრივ ცხოვრებაში დ შეიძლება იმოდენა მღელვარება, იმოდენა გრძობათა განცდა ზრავის გარდაეტანოს, რამდენიც ტასოს.

ყველას ენსომება ილიასი და ვანოს შეჯახება ბანკობის გარეშე.

90-იან წლებში ამ ბანკობის ირგვლივ ერთი ვაჟთავებელი შეხლა-შემოხლა იყო

და მის მთავარი მოწაწილის—ივანე მეუღლე ტასოც ძალაუნებურად განიცდიდა იმ სულიერ ღელვას, რაიც მაშინ მის მეუღლეს ფლობდა

მაგრამ ყოველივე ის ქართული ქალის კუთვნილ ხასიათის სიტყვიცით გარდობიანა...

ბედმა უფრო სასტიკად დასაჯა ტასო. ყველას მოგხსენება, რომ 1898 წ. უგზო-უკვლოდ დაიკარგა მისი მოღვაწეობა მიუღღლე, ჩვენი საზოგადო მი დღევანე, მწერალი და მთარგმნელი (შექსპირისა) ივანე მაჩაბე ოი.

ოჯახის ასეთი დანაკლისი განა რომ თავზარს დასცემდა მუდამ მოყვარულ მეუღლეს, მაგრამ მან ოჯახური უბედურება—დაუქუევი ტრაგედია სუფას გულშივე დაიპარა და საზოგადოებრივ საქმეთა ჩუმ სამსახურში ჰვამდა თავის კერძო გამწარების ფილოს...

ქართული თეატრი, წ. კ. ს., სახალხო თეატრი, სხვა და სხვა საზოგადო-საგანათლებლო დაწესებულებანი,—საღ არ გინდთ, რომ ტასო არ მოწაწილეთადა, როგორც ბეჯითი, მუყაითი და დაუზარელი დედა—ლიასხლისი.

მერე ასეთი მორიდებული, მოკრძაღე და თავის თავზე უყვირალი...

ჩვენი საზოგადო საქმე მარტო ლაპარაკითა და ჰაიპოუთ არა კეთდება: მადღანობა, სიბოძ, ნამდვილი კეთილშობილური მკაძაღე-გული და სიუყარულია სსტორა...

და ეს იყო ტასო.

მშობელი ერის აღორძინების მონატრე, მისი წარმატებისათვის მზრუნველი, ნამდვილი ქართველი ქალი—მამულიშვილი, წოდებით, სულით არისტოკრატი, შეგნებათ დემოკრატი, —ი, ტასო მანაბლისა...

საზოგადო საქმის სამსახურში არც ოჯახი დაივიწყა და უდროოდ დაობლებული ბავშვები—ქალ-ვაჟი გზაზე დააყენა.

ჩვენი საზოგადოებისთვის ტასოს სიკვდილი თვალსაჩინო დანაკლისია, მით უმეტეს რომ იგი ჯერ შუახანს ძლივს იქნებოდა მიხწყული და კიდევ კარგა ხანს შეეძლო ჩვენი საზოგადოების სამსახური...

ნუმც გაჰქრება ივანე და ტასო მაჩაბელთა ხსენება მით საყვარელ სამშობლოში

იოსებ არჩიათიელი.



„მესაფლავე“ *



პრპ. წერტ. მსროლელთა ბაქვის გრიგოლ (გრიშა) სილიბისტროს ძე გოცირიძე მოკლულ იქმნა ამა წლის ივნისის 7 ქ. სერდუშტის ადების დროს სპარსეთში.

მელოდრამა სამ ტოტსად სურათად.
მოშქმედნი პირნი

- 1) მესაფლავენი 1 და 2
- 2) შგოსანი
- 3) ქალი
- 4) ვაჟი
- 5) კუბოს შერობანნი

სურათი პირველი

ეკლესიის ეზო გაფანან შემოვლუბუდი. მარტნივ საგრეტეში ეკლესიის გუმბათი მოსწანს. ეზოში აქა-იქ სასაფლაოებო. შისია... ზოგი სასაფლაო ვუგადით არის შოტუდი, ზოგი პაფანსო. შარჭუნოვ სასაფლაო; ზედ ღლი და თუთი ჟარი; ჟარის ძირში ვუგადებო. ამ სასაფლაოს მარტნივ ტაბორადი სამარე... შუა-ზე ვუგადებუმი ანკელოზის ქანდაკების შადრუგანი. ეკლესიიდან ისმის სამწუხარო საგალობუდი. თარდა რა ახლება, მესაფლავენი საფლაგის თხრას თავს ანებებენ და ერთი გაფანანში გაღის... შეორე პარს ღაქერდნობა. სახე შრისხანე, დამიგნაგო და შეურადებუდი აქვს. იქვე სდგას შგოსანი, შიმელო ტუშუნარე სახის, გატურკებო დასტურკის სასაფლაოს...

მესაფლავე (სარკაზმული ღიმილით)

ვეგრე არის სამართალი—ქვეყანაზე ვინც კი კვლებო იმ წუთშივე, მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყლებო. (შადრუგანის აქეთ შიღის, შგოსანიც წამოგა—ამთაოსრუბს) შგოსანი. მესაფლავე, შენ ამბობ რომ ქვეყანაზე ვინც-კიკვლებო იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყლებო. (მესაფლავე, ნაშინად თანხმობის დაცნით თავს დაუქნევს). ემ არ მჯერა, მე ეგ რადაც. მომაბეზრე კიდეც თაგი, და შესწყვიტე, თუღმერთი გწამს, ეგ დაცინვა გულსაკლოვი. (ამ დროს შემოსულა ქვრივი, შეტად და-შაზი; შაგშია, თმა-გაშლილი სასაფლაოს ესეგვა და უსიტვეოდ სტირის).

ვერა ხედავ, იმ საფლავეზე როგორ ტირის ობლად ქვრივი?... რა რიგ შეენის აბალგაზრდას გვე სეველო ღეთაებრივი განაგუშინ არ იყო, რომ ამ მოკლულმა დარდით ქალმა. ცრემლი ღვირა, როცა სატრფო ცივ სამარეს მიესალმა? დღესაც იგი ამ სამარეს გულამოკლული დაშქეთინებს;

* გ. ტაბიძის ლექსიდან.



დღით არ იცის მოსვენება და ღამითაც არ იძინებს...
 შოგა ხოლომე და დაჯდებაცეც სამარის გაშლილ ქვაზე...
 დარღით არის გაუღენთილი მისი უღეთო საომაზე...
 თმა გაშლილი დაემზობა და ცრემლები სცვივა, სცვივა...
 სულს მიშფოთებს ეგ ქვითინი, გული მტკივა, გული მტკივა...
 მაგრამ რა ვქნა?... შესაფლავევე ჩუმად იყავ, უვლდე ყური...
 გესმის? გესმის როგორ კენესის დაღლილი და უბედური?
 (ასმის სკრინჟა. გაფლავა. ქალი გულმოსვენით ქვიაიხებს)

ქალი. გავქრე ისე, როგორც ნისლი, როგორც ღამის მოჩვენება,
 არ მელირსოს კვალ არეულს სიმშვიდე და მოსვენება,
 შენის სახე გულს კაწრავდეს, სადაც ვიყო როგორც ვიყო,
 თუ როდისმე არ მახსოვდეს, თუ როდისმე დაგივიწყო...
 (მგოსანი სასაწარმოებზეა, შესაფლავა-
 გეს ნიშნის მოკებით გადახედავს. შესაფლავა
 ანაფრად აღდებს ამ სურათს, ის ჩვეულებრივად
 არის. ქალი გადაის... მგოსანი ეუბნება შესაფლავს)
მგოსანი. შესაფლავე კიდევ იტყვი, რომ ამ ქვეყნად ვინც კი კვდება,
 იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება?
 (ამ დროს მუთუ შესაფლავა გადახანის
 კარებს აღებს... შემოაქვთ კუბოს... უკან დად-
 ვრემილი მტირაღი ვაჟი მოჭეუვება კუბოს,
 კუბოში მიტევალებული შეგვიღებში. კუბოს გათ-
 ხრილ საფლავთან დგამენ შემომტანნი გა-
 დან. რატა შემოაქვთ მგოსანი ამბებს)

აი, თუნდაც გალანისას შესაფლავე აღებს კარებს,
 ახალგაზრდა ვაჟი ვინმე კიდევ სატროს ასამარებს...
 (ვაჟი კუბოს ეხევა და სტირის უსიტყვად).

გულმოკლული ძვირფას კუბოს არ შორდება, არ სცილდება,
 განა როსმე სხვა ამ გვარი სიყვარული მეორდება?
 უსაზღვროა მისი სევდა, უსაზღვროა მწუხარება,
 და გადმოსჩქებს გულმოკლულ ვაჟს თვალთგან ცრე-
 მლთა მღუღარება.

ფიცით ამბობს... (ვაჟი სტირის. სკრინჟა)
ვაჟი. ოჰ, შემოთოდეს სამარეში ჩემი ძველები,
 არ ათბობდეს ჩემს სამარეს გაზაფხულის მზის სხივები,
 გავქრე ისე, როგორც ნისლი, როგორც ღამის მოჩვენება,
 არ მელირსოს კვალარეულს სიმშვიდე და მოსვენება,
 შენის სახე გულს კაწრავდეს, სადაც ვიყო, როგორც ვიყო,
 თუ როდისმე არ მახსოვდეს, თუ როდისმე დაგივიწყო
 ვაჟი ტრემლის ფრქვევით გადახევა კუბოს...)

მგოსანი (აღლევებულა, ნიშნის მოკებით ეუბნება შესაფლავს)
 შესაფლავე, კიდევ იტყვი, რომ ამ ქვეყნად ვინც კი კვდება,
 იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება?

შარდა

სურათი მეორე.

ისევ ის ხდებოდა. გათხრობა სამარე გაბ-
სწორებულა, ზედა ღოლი დევს. საფლავე ვა-
ვილებშია. ისმის სალაშქრო.

მესაფლავე. ხა-ხა-ხა-ხა მე ვამბობ რომ ქვეყანაზე
ვინც კი კვდება,

იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება.

შეგახანი (ბრაზ მორეული)

მესაფლავევ, ნუ, ნუ ამბობ რომ ამ ქვეყნად ვინც კი კვდება,

იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება?

(გახსენებს)

ის ქალი კი, შეხებ, შეხებ, ისევ მოდის თმაგაშლილი,

და სამარეს დაუვიწყარს თავს ადგება, ვით აჩრდილი,

შემოდის ქალი. სეღში ფარჯის კონა უქირავს... ღოჯს ვამბო-
რება)

ხელით ვარდის მთელი ბუჩქი, ჯერ ისევე დაუმკნარი,
მოაქვს რო მით დაამშვენოს სამარისა თეთრი ჯვარი...

(ქალი ფარჯს ჟვარსუდ ქვიდება. შესაფლავე და შეგახანი
შადრეგანის აქეთ აჩიან, ქალის მოფარებათ)

ოჰ! ეს ქალი, ალბად დარდით ყვავილივით კენება, ჭკნება,
სევდას სახე დაუფარავს და სიყვითლე ეპარება.

საცოდავი! თვალგზისა კი დასჩნევია უძილობა,

ასე ხდება, როცა ღამით მოგონებებს იწვევს გრძობა.

(შემოდის ვაჟი დაღრეშიდა, მისი ფარჯის
კონა უქირავს. სატრფოს საფლავეს ვამბობება.

ქალიც და ვაჟიც სასაფლაოს ბაღასებს ატღის.)

მესაფლავევ, კიდევ იტყვი, რომ ამ ქვეყნად ვინც კი კვდება?
იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება?..

(დაინახავს ვაჟს)

და ის ვაჟიც, გუშინწინ რომ მიიპარა სატრფო საფლავეს,
არ ცილდება სასაფლაოს, სევდიანს და გულმოსაკლავს.

სახე თაფლის სანთელს უგავს, სანთელივით ღნება, ღნება,
თავს დასცქერის დაუვიწყარს, გლოვის სიტყვის ეუზნება...
მის თვალგზისა კი დასჩნევია ღამის თევზა, უძილობა,

ასე ხდება, როცა ღამით მოგონებებს იწვევს გრძობა...
მესაფლავევ ახლაც იტყვი რომ ამ ქვეყნად ვინც კი კვდება,

იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება?
ძალი. (გადასვენებს ვაჟს. ამას შესწრობს ფარჯს შეგახანი
და შესაფლავე. ქალი ამოიხს თავისთავს).

ჩემებრ სტირის იგი ვაჟიც... უძირაო კაცის გული..
რას არ ითმენს სიყვარულის ცხოველ ნათელს მოკლებული.

(შესაფლავე ნიშნის მოკლებით და დატინჯით შესვენებს შეგახანს)



მგოსანი. ასე ამბობს სევდიანი ქალის ცისფერ თვალთა ცქერა...
 აღზათ ვაჟსა ამ უსიტყვე ცქერამ გული აუძვერა...
 ასე იცის თანაგრძნობა. (შესაფლავებამა) შენ ვი ავიღებო, თითქოს მართლა იმპრობოდეს იმათ შორის ის სიმები რომლის ძალით ორი გული სამუდამოდ შეერთდებო.
ქ. არ მჯერა, შე ეგ რაღაც... ქვეყნად ასე როდი ხდება...
 როცა ფიცით აცილებენ მიცვლებულს სამარმდე,
ფიცარ სტებენ. ფიცს არ სტებენ უკანასკნელ ყოფნის ღრმად.
გამიგონე მესაფლავებ, შენ არ იცი კაცის დარდი,
 (შესაფლავებ ხანხანებ)
 თორემ რაა ჩემს თქმაზე რომ სულელივით ახარხარდი?
 (ვაჟი ქალს ვარდის კონას აძლევს. ესენი დანახავენ ახს. შესაფლავებ მისებუათა დასტინებს მგოსანს)
 რა უყოთ რომ იმ ვაჟმა ქალს მოუტანა ნორჩი ვაჩი?
მესაფლ. (გასლიანი დამიჯობა ანიშნებს) შენც ქალს რას ეუბნება?
ვაჟი. (ქალს ადარსიანად) შემიყვარდი, შემიყვარდი.
 ჩვენ ერთი გვაქვს მწუხარება, შევეერთოდ სულთან სული. გამომეყვი ცოლად, ქალო, ძლიერი მაქვს სიყვარული...
 მართალია, ის სატრფო არც შენ არც მე აღარა გვყავს,
მეგრამ მათი მოგონება ვერ გაარღვევს უხმო საფლავს...
 დავიფიყოთ ის წარსული, სატირალი სავალალო და ახალი ყოფა შევქნათ—გამომეყვი ცოლად ქალო...
მგოსანი (განცვიფრებულია. შესაფლავებ ხანხანებს. მგოსანს დასტინებს) დაუცადე, მესაფლავებ, თუ რა პასუხს მისცემს ქალი, შენ გგონია რაკი ვაქმა დავიფიყვა თავის ვალი,
 ქალიც აგრე მოიქცევა?... მე გგონია არა, არა...
 განა გუშინ არ იყო რომ სატრფო მიწას მიიბარა?
მკვდრის აჩრდილთან ვინ იცინის, მკვდრის აჩრდილთან ვინ იხუმრებს?
 იმა, ნახავ—ამეზარ ვაჟს რა პასუხით გიხსტუმრებს...
 (ამ დროს ქალი გადაისხის ვაჟს და ეჩუჩნება).
მესაფლავებ (ხანხანით ნიშნის მოგე ბით ეუბნება მგოსანს-ს პე) შენც, ქალი შენი. მორცხვიდ თავს ხრის, უჩუროს უღრმებს.
ქალი თანახმა ვარსებოდ ერთი მომავალი მასულდგმულს
ჩვენ ერთი გვაქვს მწუხარება, ნუ ვიგონებთ დროს უბედურს მე შენი ვარ სამუდამოდ, წამიყვანე, სადაცა ვსურს...
 (ქალი და ვაჟი ერთმანეთს ჩაეჭვიან. აკოცებენ და კადანს).
მგოსანი. (პრაზმოკრეული უნახურა ძალით წამოიქება).
შესაფლავებ ხანხანებს და დატინებით შეტქერის მგოსანს მესაფლავებ, ეხლა კი გვაქვს ნება, რაც გსურს, კვლავ იგი სთქვა; სამუდამოდ ისამარებს კაცთა ხსოვნას სამარის ქვა ფარდა.

სურათი მესამე

ასევე ის სტენა. ვუვადებო ჩამწკნარა და
 სასაფლაო პალახებით არის გადაფარული... თუკლი
 სასაფლაოს ისლას სტკას ორი გადაფარვნილი
 კუბო... საღამო... მკვდართა სინუშეს საღამო-
 რის და სკრახვის მწუსარე მიმნი აჩუჩებს.



ფარდა იხდებს... ჩვეთვევს ეკლესიიდან სამწუ-
 ხარო სჯაღობელი ნსუღთათხანა.. შეშდეტ შე-
 შიადის შგოსანი. სსაფლაოებს კადანებაგს ჯა
 შეტად ღამწუნადება.

მგოსანი. ალბათ ქაღ-გაგს დღეს ერთი აქეს ბინა...

ხელეგ ტადის ხანი.
 სსაფლაოს არ ნახულობს დღეს არც ერთი იმითგანი.
 საფლავიდან მტვერს და ბაღახს დღეს არც ერთი არ აცილებს.
 და მოვლასთან ერთად ფერი წართმევიით ვარდ-ყვავილებს.
 განისვენეთ, ძლიერი და უკვდავია თქვენი ძილი,
 რაღათ უნდათ რათ სქირიით თქვენს საფლავეებს ვარდ-ყვავილიწ
 ან რას გარგებთ მომავლადე კაცთ სამუდამოთ ცრემლოთა
 ფრქვევია.

ძალით ვერა გამოარკვევთ, ვერაა ძალი ვერც შემთხვევა..,
 განისვენეთ, განისვენეთ დავიწყებულთ არსთა ძვლებო,
 თქვენს ყოფაში არ ერევა ცოცხალთ ფიქრი სახარებო...
 ასე ხდება ქვეყანაზე, ყველა ცოცხლობს, ყველა კვდება.
 და ვაი მას, ვის სიკვდილი სიცოცხლეშივე ავიწყდება.
 (შემოდის მესაფლავე ჯა შამშადიანი კუბოე-
 ბის ქედგას დაიწებს... ისმის ზარების რეკა...
 მუსიკა თანდათან დღეღება).

ზარსა სცემენ... იმ ორს, რომელთ დავიწყებს ბედი მწვავე.
 (შესაფლავე იღამება)

იმ ორს ერთად გადავიტყობილ კუბოში სქედს მესაფლავე.
 სქედს და რაღაც მწარე ფიქრზე თან ვგლურად ილიმება...
 იცის, იცის მესაფლავემ, როგორც უნდა, როგორც ხდება.
 განისვენეთ, განისვენეთ დავიწყებულთ არსთა ძვლებო,
 თქვენს ყოფაში მე ბევრი მიქვს მწუხარე ეამს საოცნებო...
 მესაფლავე (გულმოდებინეთ ხარხარებს თანატ მსხარულათ სქე-
 დს კუბოებს)

ხა-ხა-ხა-ხა-ხა-ხა ქვეყანაზე ვინცკი კვდება,
 მისი ჩრდილი იმ წუთშივე ყველა ჩვენგანს ავიწყდება..
 მგოსანი (ნაშნად თანხმობისა თაგს უგარაგს)
 მართალი ხარ, მესაფლავემ, ქვეყანაზე ვინცკი ვღდება,
 იმ წუთშივე მისი ხსოვნა ყველა ჩვენგანს ავიწყდელ ა...
 ფარდა.

დასასრული

ი. ხინელი



„ფიქრი სანატრი“ და „ფიქრნი მღელვარნი“

V

(გაგრძელება, იხ. „თ. ცხ.“ № 28)

ნიკოლოზ ბარათაშვილის კოსმიური-მისტრიქური გრძნობა.

ნ. ბარათაშვილის „ფიქრი სანატრი“ ცის ქედს რომ მიიწვევს, რათა ეშხით დამოფრალი შერტდეს ლურჯსა ფერსა—ამხელს მასში მისტრიქს-მეტაფიზიკს.

ეს სახელი მას ეწოდება, ვინც ხილულს იქით უხილავს სკვერტს, წარმავალს იქით საპარადისოს და სააქოს იქით საიქიოს განიგულებს.

მეტაფიზიკისთვის ეს ხილული ქვეყანა თეატრია ცვალებადი დეკორაციებით და მსახიობებით. ხილული რეალობა სიდიულლო ძალთა და არსთა გამომეტყველება-განხორციელებაა. როგორც მსახიობი სცენაზედ ასახიერებს სსსცენო როლს დროებით, ისე ხილული რეალობა დროებით გამომეტყველება—სამარადისო ძალთა.

ამ აზრს ბარათაშვილი გამოთქვამს ლექსში „ჩინარია“.

ამ ლექსში მტკვარი, ნიაგი და ჩინარი პოეტმა გააცოცხლა და გააპიროვნა. სული ჩაუღდა, გრძნობით ააღელვა, ენებით გული ააღუსო. იგინი თავისებურათ ურთიერთობენ: მკვარობენ, სძულაობენ რაყიფობენ. ერთი სიტყვით უხილავ რეალობათა მატარებლნი მსახიობნი არიან:

„მოქშუის მტკვარი, მოქპირს ნიაგი,
 და შნაღითა აჩხვეს ჩინარსა,
 და გამოსტყენს სსხიობასს
 ტკბილდის ოტნებით დაშპიანარსა.
 მწყაშს რომ აჩს ენა რამ სხადელქობა
 უსსაკოთად და უსუღათ შორის
 და უტსოველეს სეთაა ენათა
 აჩს შნიშენქლაბა მათის სსუბრის.
 მტკვარი მიჯნურია ამაჟი ჩინარისა,
 შეტრფვის მას და მალენსამბა.

„ეთა მიჯნური სტრფოს ამაჟსა
 მტკვარი მის (ჩინარს) ფერსთა ნორწთა
 კვლება.

და აღმოაჩხვეს უფსკრულადანსა,

და აღელვადი კვლეთა ესლება.

მსოფლოდ ჩინარია, მარად მჩინარია

სდგას მუდღეურად და სიამაჟით

და მსოფლოდ თავსა გაჩდმო-კადისდის

სეუდიანისა შერხვეის სსახით.

ჩინარი თავის გაქნევა-გამოქნევით უარს ეუბნება მტკვარს და თანაუგრძნობს მას ავინც მის აქანებს, ესე იგი ნიაგი-ქარს.

ქარი მეორე მიჯნურია ჩინარისა, და მეტოქე-რაცოფი მტკვარისა. ესეც ეტრფვის მას ეხვევა-არხევს. და მით შურს აღუძრავს მტკვარს: აშფოთებს, აკენესებს:

„ააგდენჭჳრ ქარა შჳარხვეს სჩროს,
 იმღენჯურ მტკვარსა უმატკებს აჩხვარს
 თითქოს სიშურათ შჳეშფოთებულა
 და კვლად მიგრებულ ზეფრთთა შჳეშქსრჩაგს.

ამ ლექსში ბარათაშვილის სამიჯნურლო გრძნობა მის კოსმიურ გრძნობაში გაიღვსა და ერთად შესხივებულმა მკვდარი ბუნება გააცოცხლა. ხილულ ნივთიერებაში უხილავი სული შთაბერა, სტიქიურნი ძაღნი გააპიროვნა. აქ პოეტი პანთეისტათ მოსჩანს, მაგრამ თუ გვსურს შევიტყუთ პოეტის ნამდვილი მსოფლ-შეხედულება, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ მისი მეორე ლექსი, რომელიც გამშქვალულია კოსმიურივე გრძნობით და რომელშიაც ბარათაშვილი მოსჩანს როგორც მეტაფიზიკი, რადგან იქ პოეტს ბუნების მაწარმოებელი იღუმალდი ძალი ცის იქით მიაჩნია. ეს არის ლექსი „შემოღამება მთაწმინდაზედ“.

ლექსში „შემოღამება მთაწმინდაზედ“ აშკარათ სჩანს, რომ ბარათაშვილის მეტაფიზიკობა:

მართლადაც უბრალო მატერიალისტიკისთვის რა არის მთაწმინდაზედ შემოღამებაში სანუგეშო და დამატკობელი? ნუ თუ ადგილნი ვერანანი და უღაბურნი“ ანუ „კლდე ცრემლიანი ანუ ლელენი, რომელთა შორის



საც სწარმოებს მმუსრველი ძალი სტიქიისა: შლის, ანგრევს და ნაშუსკრებს ისერის დაბლა ხევებში. მგერამ ეს ნგრევა-ქცევის ხატება— ჩვენი პოეტი მისტიკისთვის შეიქმნა ნუგემის წყაროთ და ქირთ-მანელბოლად: მთა წმინდა ცისკენ აღსასვლელ კიბეთ გარდაექცა.

„მთა ცხოველთ, ხან მგინარა, ხან სეფ-დაინო, ვინ შოგინიდას, რომე მვისეფ თვისთა ფიქრთ შეგება არა იშოფოს და არ დახსნას გულის ვება.“

იმ დროს სხვა ვინ იყო ბარათაშვილზედ უფრო გულ-დახურული და სულით ობოლი? ამისათვის უყვარდა პოეტს მთაწმინდა, რომელიც ეთანხმებოდა მის სულს, აკმაყოფილებდა მის გულის მეტაფიზიკურ წყურვილს და მოთხოვნილებას. ის საღამოობით ხშირად აღიოდა მთაწმინდის წვერზედ, შესტკეროდა ვარსკვლავებით მოკედლის და მრავალ საიდუმლოებათა მატარებელ ცას და განშორებული არსებულ რეალობას ამ უსაძაველ ქვეყანასა შეცურდებოდა იდეალურ სამეფოში. ერთი ასეთი საღამო პოეტს გარდაექცა „ხილიცის მთად იმ საღამოს უტხოველესად იგრძნო სიხალოვე ზესთა ძალთან, არა უბრლოთ იგრძნო, თითქმის გასტკერობა-იხილა იგი პირის პირ. ამ ხილვამ დაატკბო იგი უაღრესად. „ამა სიამით ნეტარებათ ესრედ აღესებულს გგონა შედავს სასუფეველს აქ დაწუნებულს“

„ცხოველი მისტიკური განცდა ერთი გამოვლითქმულია, რადგან იგი ინტუიციისი სამფლობელოს უფრო ეკუთვნის ვიდრე გონებით მისაწდომს. ვისაც თვით არ უგრძნვია ასეთი ექსტაზი, მას ვერაფერ საშუალებით ვერ გარდასცემთ ს.ესებით. ამიტომ ცხადია, რომ ბარათაშვილი სისრულით ვერ დახატავდა მაშინდელ ნაგრძნობ-ნაფიქრს, და ის, რაც პოეტმა ვაღმოგვცა მკრთალი აჩრდილი უნდა იყოს პოეტის რეალური განცდისა.

რადენნათაც კი ბარათაშვილმა შესძლო იმ საღამოთა წამის სიტყვებში შემოსევა პოეტს მსოფლიო წარმოუგება, როგორც ტაძარი ღვთისა, რომელშიაც ბუნება სადღესასწაულოთ მოკრული ღვთის მსახურებას შესდგომია: ქვეყანა მსხვერპლს სწირავს ძალით ძალას:

„ძირს გაშლიდს დამაზს ველსა ვეგაინა მოჭყენენ რეგა ტაბლას წმიდასა და ვით გუნდრუქსა სამაღლობელსა შენად აღმკვევენ სურნალებასა“

ყველითა საკმეველს ზე ასღვეს პოეტის სულიც, იქ ზენაარს სავანეში ეძიებს თვის საღვურს:

„მე შენსა მჭყრეტელს მაგწულება საწკთრება“

გულის თქმა ჩემი შენს იქითა ეძიებს საღვურს

„ზენაარს სამეფოს რომ დასთმოს აქ ამოკება“. პოეტს, აღზნებულს საიმქვეყნო ტრფობით, და ფიქრით ცაში მონავარდეს უკვე კარგა შემოულამდებ:

„დაფიქრებული ვიდექ სერზედა, და ცთა მიმართ მზარაღს ტრფობითა შემომერტემოდა შისისა მწუნწრის აღმესკები ნაწრადთ მღუმარებათა. ხანდისხან ნელად შქროლნი ნაიგნადლეკათა შორას აღმოკენსადენ და ზოგჯერ ჩემი შემოგარენი ამით ჩემს გულის უთანხმებოდენ.

ბარათაშვილმა ცაშიც ღვთის მსახურების სახე იხილა. მთვარეს ლოცვაში მიქანცებულ ყრმას მოაგონებდა პოეტს: სდუმდა ყოველი მუნ არემარე. ბინდი გადევრა ცისა კამარას მოჰსდღევს მთოვარეს, ვითა მიჯნური, ვარსკვლავი მარტო მისსა ამარას გინახავთ სული, ჯერეთ უმანკო მხურვალე ლოცვით მიქანცებული? მას ჰგვანდა მთვარე ნახად მოარე, დისკო გარდახდით შუქ მიზინდული „ასეთი იყო მთაწმინდაზედ შემოღამება. მან წარუბოკული კვალი დასტოვა პოეტის სულზედ:

„წაო ადგაინო, მასსაფს, მასსაფს. რასაც ფეაქრბოდი მე თქვენთა შორას და ან რასაც აღმოკეტულოდა, მსოფლო გული ჭტრძნობს, თუ ვითარო სდღეგნით მას შეგება“.

ბარათაშვილის ფიქრები და ზრახვანი ცის დანახავზედ ყოველთვის მარადიულ ქვეყნისკენ მიჰქრია, თუმცა გონება ვერ თანამგზავრობს პოეტის გულის თქმას, რადგან „გლაჰ მოკვდავნი ვერ სცნობენ განგებას ციურს“.



„აქვს რა თვალნი დაყვარეს გახალვენი,
შუის ფიქრნი შენდა შიასწრაფიანი
მაგრამ შენამდე ვერ შიასწვევნი
და ქაერშივე განიანთევიან“

ამ მაგარება კენძი იმ საშინელი დრამისა, რომელიც სწავრობებდა ბარათაშვილის სულში მის შემდეგ, რაც ეპიციანობის „ბოროტობა სულმა“ ჩაუნდია ცხოველი მისტიკური გრანობა, და მოუკლა საჩუქრთობა. მიგრამ ამანვე შემდეგ მოგახსენებთ. ესლა კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ბარათაშვილი გონების თათბირს არ ემორჩილებოდა, ეპიციანობას მის გულში ჯერ ფეხი ვერ მოუკიდნია. და მომავალ მზიან დღეს იმედით უტყუარს:

„უბო, საღამოვე, შეუდროვ საშაოვე
შენ დაშთი ჩემად საწუგეშებლად,
როს მუჭუნეარება შემომეხევეს
შენდა მოვიდტოვი განსაქარეზებლად,
მწუხნს გულისა, სვედა გულისა
ნუკეშსა ამას შენგან შიადღებს,
რომ კათუნდებს დღესა მზიანი,
და უოველს ბინდსა ის განიანთლებს.“

დ. დეკანოზიშვილი

ქ. ბათუმი — ს. ბარცხანა. 30 VII აქ ჯაყელის რეფსირობით წარმოადგენს შ პესა დივერტისმენტით: 1) „სიკვდილი ჩრდილოეთში.“ შიუხედელე წერილბან ლეფტებისა, მაგ, ზარის მალალი და გამუდმებული რეკა, რომელიც კულისებში ავითმყოფის თავთან ეკიდა ცულ შინებელილებას სტოვებდა, კარგი იყო ბნი—ჯაყელი. არა უშეადარა ქ. ფაზისელს. მხოლოდ ბატონმა ასათიანმა (პოლიციელი) ისეთ ძლიერ დრამის დროს, როდესაც მიცვალებული ასენია, შემოვიდა, და ისეთი კილოთი იკითხა ჯანმისახლებულები, რომ მაყურებლებში სიცილი გამოიწვია; 2) „პრიკაშუკი შეაფში“, არა უშედა. ქ. ფაზისელმა ბევრი აცინი საზოგადოება. ბინა ჯაყელმა რაოლი არ იცოდა, 3) „შინადირე. ყველა თავის ალაგს იეთ, ჯაყელი (შეშტინამე) შეუდარებელი იყო. შემდეგ გაიმართა დივერტისმენტი, მაგრამ ისეთ დივერტისმენტს, დეგრეთო, მეორეთ გავშორე. აინბა ფარდა, სცენაზედ გამოხატა ვილაკა, დიწყო თვალების ნებვა პრაქვა, ხელების ქნევა, ხან აღმა ვითომდა გრიშაშვილს მამავედა როგორც კითხვაში ისე შიმიკაში ყველა მან დაამატეთ, რომ ლექსს ჟურნალიდან კითხულობდა, და თანაც ვნა მოცუთილი იყო. ცოტათი საქმე გამოაკეთა ასათიანის სცენაში და ვადაქორიას—ჭაკიოსულ ლექსმა, რომინშვილის ლექსი „ქალბს.“

G. B.—შიჩი.

„გლავტორ-გამომგეშედი იოსებ იმედაშვილი.



ქაფე-პარიზი

სახანლის ქუნა თავდაუნ. სახლი

ერთად ერთ რესტორან „ქაფე პარიზს“ საზაფხულოდ აქვს ბალი, სადაც სუფთა პაერზე შეიძლება საუზმის, სადილის და ვახშმის მიერთმევა, არის ცალკე ფანატურები და კაზინეტები. საწოვავ საუკეთესო ღირსებისაა პატვისციმით ხილ. გომბერია.

გამოვიდა და

ვევლეზან ისეიდებ

ეფენი დვალის

1) საგიუეში დაწერილი

სიმღერები

ფასი 40 კაპ.

2) მწარე სიმღერები

ფასი 30 კაპ.

ქართული კლუბი

1 ძმინის პროგრამა

- ორშაბათი—ოპერეტა. ბილეთები: 1 შ.-50
- ესამშაბათი—სოჯახო საღამო
- ოქტომბერი.—სინემატოგრაფი. სიმბ, ორკ.
- ხუთშაბ.—პართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.
- პარასკ.—ოპერეტა. ბილეთები: 1 შ.-30 კაპ
- შაბ — საღ.
- კვირა — რუსული წარმოდგენა. ბილეთი 50-30 კაპ.

სტამბა „სოხანა“